ნაკადული

წელიწადი მე-XII. № 10 მაისი, 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

მამა და შვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—მამა და შვილი,—სურათი 1

II—ნაკადულის მკითხველები:—1) კატუშა და თამარ დონაძეები,—ოზურგეთი, 2) შალიკო ნაცვლიშვილი, 3) დათუნა და კაკი მამინაიშვილები,—თელავი, 4) შოთა და შალვა ბერეჟიანები,—თბილისი, 5) ჟენია კილასონია,—ჭიათურა. 3

III—პატარა გლეხის სიმღერა,—ლექსი რაჟ. რომანიშვილისა. . . 4

IV—ჩიტებიანი ხელსახოცი,—დ. ძეძამიძისა 5

V—დღეს ესტუმრა სამშობლოს,—ლექსი მიმქრალისა. 14

VI—სამხეცეში,—(დასასრული) თარგმანი ალ. მითაიშვილი . . . 24

VII—გასართობი:—შარადა, რებუსი და აღსნა 46

ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქართ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ. № 12

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბაკადური"

მკითხველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფლეხის სიმღერა

ო! რა კარგია, ვენაცვა,
რა კარგი დადგა დარიო,
ზაფხულმა ფრთები გაშალა,
გაგვიღო ლხენის კარიო...

აგვიზურმუხტა კეკლუცად
მინდორი, მთა და ბარიო!..
ვიშ, ვენაცვალე მე ზაფხულს:
რა კარგი რამე არიო...

მერცხლებს შეხედეთ, მერცხლებსა,
როგორ დაფრენენ ჩქარაო!
ნეტავი დამაჭერინა,
მაგრამ არ მინდა, არაო!..

რომ დავიჭირო, მაშინვე
ვიცი მოკვდება ჩქარაო,
და ეს ცოდოა, ღმერთს ვაწყენ:
არ მინდა, არა, არაო?!..

უფრო კარგია, მინდვრათა
ჰეჰლების დევნა-ჭერაო,
ვარდ-ყვავილების დაკრეფა,
მინდვრად კისკასი-რბენაო!...

ჭო, რა კარგია ზურმუხტი
მინდორი, მთა და ბარიო!..
ვიშ, ვენაცვალე მე ზაფხულს:
რა კარგი რამე არიო!..

რაჟ. რომანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩიტებიანი ხელსახოცი

ზობის წინადღეს სოფელ შ—ის სკოლის ზარმა დაჰკრა მეოთხე გაკვეთილზე და მოწაფეები სიხარულით შესცვივდნენ კლასში.

მიზეზი სიხარულისა ორგვარი იყო: ჯერ ერთი, ამ გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი საღდგომოდ ორი კვირით დაითხოვდა; მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ ზარმაცებს ახსოვდათ, უმრავლესობას კი უსაროდა „კითხვის“ გაკვეთილი, რომელზედაც მასწავლებლობაში გამობრძმედილი ონისიმე ახალგაზდური გატაცებით მოწაფეებს საბავშვო მოთხრობებს უკითხავდა, ან ტკბილი, მომხიბლავი ენით რამე წაკითხულის შინაარს უამბობდა.

მოწაფეები თავ-თავის ადგილას დალაგდნენ, მაგრამ მასწავლებელი, ჩვეულების წინააღმდეგ, კლასში შესვლას იგვიანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბად კარგ წიგნს არჩევს წასაკითხად და იმიტომ დაიგვიანა,—სთქვა ლევანამ.

— შე სულელო, განა იმდენი არ იცი, რომ მასწავლებელი წასაკითხს წიგნს ყოველთვის წინადღეს ამოარჩევს ხოლმე,—უპასუხა შაქრომ.—კლასში რომ შემოვდიოდით, ვიღაც დედაკაცმა დაუძახა და, მგონია, იმას ელაპარაკება.

ამ დროს გაისმა ტალანში ფეხის ხმა, და მასწავლებელი პატარა წიგნით ხელში კლასში შემოვიდა; წიგნი მაგიდაზე დადო, რაღაცაზე დაფიქრებულმა პარტების წინ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და შემდეგ შუა კლასში გაჩერდა.

— ამ წიგნს უფროს განყოფილების მოწაფეებს გაძლევთ წასაკითხად,—სთქვა მასწავლებელმა:—აჰა, შაქრო, დღეს შენ წაიკითხე; როცა გაათავო, ლევანას გადაეცი, და ასე ყველამ მოიერიგეთ ამ ორს კვირაში. ასლა კი ერთს ამბავს მოგითხრობთ.

მოწაფეები სმენად გადაიქცნენ. მასწავლებელი ღია ფანჯარასთან მივიდა და დაუწყო ყურება შორ მთებს, თითქოს იქ უნდოდა ამოეკითხა შინაარსი იმ ამბავისა, რომლის მოთხრობასაც აპირებდა; შემდეგ მობრუნდა, შუბლზე ხელი გადაისო და დაიწყო:

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი ქვრივი, რომელსაც ოთხი მცირე წლოვანი შვილი ჰყავდა. მთელს იმის უძრავ ქონებას შეადგენდა: დედაბერივით წამოკუზული ქოხი, ერთი საქათმე და ერთიც პატარა საღორე.

მარიამი,—ასე ერქვა იმ ქვრივს,—მთელი დღე დაუღალავად მუშაობდა: მეზობლებს ბურს უცხობდა, ურეცხდა, უკერავდა, ერთი სიტყვით, ყველაფერში ხელს ახმარებდა და ასე არჩენდა თავის შვილებს.

უფროს შვილს ჰეტო ერქვა. იმისი ტოლი ბავშვები იმ სოფლის სასწავლებელში სწავლობდნენ; ჰეტო კი, ინათებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა, ჩაიდებდა ჰარკში მჭადსა და ჰატარა „დედა-ენას“, ხოლო უბეში სალამურს, და გაირეკდა მინდორში თავის ღორის ფარას, რომელიც დედა-ღორისა, მისი შვიდი გოჭის და ერთი ჭრელი ბურვაკისაგან შესდგებოდა.

მთელი დღე მოწყენით იყო ჰეტო მინდორში, მარტო-მარტო, არავინ ჰყავდა მას ხმის გამცემი, გულის გამრთობი, რადგან, როგორც წეღანაც გითხარით, მისი ტოლები სკოლაში დადიოდნენ, მოზრდილი მწყემსები კი მას თავს არ უყადრებდნენ და საქონელი შორს, ჭალის ჰირებში მიჰყავდათ საძოვრად.

არც ხელს მისცემდა ჰეტოს მათი ადევნება, რადგან მის ჰატარა ფარას ჭალის წივანა ბალახს ნაკალოვრებში ღოლოსა და ძირხვენას ფესვების ხრამუნი ერჩივნა.

ერთად-ერთი გასართობი ჰეტოსი წიგნი იყო.

დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის, რომ მან რამდენიმე თვე კი იარა იმ სოფლის სკოლაში; მაგრამ, რადგან მარიამს ხშირად ჰურის სასყიდელადაც არ გააჩნდა ფული, არამც თუ ჰეტოს წიგნებისა და რვეულებისათვის, ის იძულებული შეიქმნა სკოლისთვის თავი დაენებებინა და თავისი შრომით დედისთვის რამე დახმარება გაეწია.

ჰეტომ შემდეგ თავისით გაივარჯიშა კითხვა მწყემსობის დროს და ისე შეიყვარა წიგნი, რომ, რა წამს ღორები მიწის ჩიჩქნით გაერთვებოდნენ, ის მაშინვე ამოიღებდა ჰარკიდან თავის ჰატარა „დედა-ენას“ და გატაცებით კითხულობდა, თუმცა ის დიდი ხანია თავიდან ბოლომდის გაზეპირებული ჰქონდა. ახლა მისთვის სანატრელ საგნად დიდი „დედა-ენა“ გამხდარიყო და სულ მასზე ოცნებობდა.

როცა ღორებს ერთს ადგილას მიწის ჩიჩქნა მოსწყინდებოდათ და რამე სასუსნავის საძებნელად მინდორში სირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილს დაიწყებდნენ, ჰეტო ამოიღებდა თავის სალამურს, აკვნეს—აალაპარაკებდა და, რასაც ობლობისაგან დაჩაგრული მისი ჰატარა გული გრძნობდა, მას ათქმევინებდა.

სალამურის ხმაზე ღრუტუნები მასთან მოგროვდებოდნენ, დინგებს ძირს დაუშვებდნენ და, საამო მუსიკით გაბრუებულნი, თვალებს ლულავდნენ.

მაშინ ჰეტო სალამურს უბეში ჩაიდებდა და ისევ წიგნის კითხვას დაიწყებდა.

ღორები სალამურის ხმის მოლოდინში შორს აღარ მიდიოდნენ და იქვე ახლო იწყებდნენ ძიწის თხრას.

ჰეტო ასე ატარებდა დღეს მზის ჩასვლამდის. შებინდებისას ღორებს შინ მორეკდა და, როცა მარიამი კრუხ-წიწილს სთვლიდა და უბუდებდა, ის ამ დროს საღორის კარებს ამაგრებდა, საიდანაც ღორების ღრუტუნ-ჯეკვირილი ისმოდა.

— შვილო, სვალ ღორები ცოტა მოადრეებით მორეკე,— უთხრა ერთ საღამოს მარიამმა თავის შვილს:—ჯრელა ბურვაკი ჩვენ მღვდელს მივუიდე ხუთ მანეთად, და სვალე შენი ფეხით მიუყვანე. მითხრა, სვალვე გამოატანე ჰეტოს, რადგან გამხდარი იქნება, და ძინდა საღდგომოდ გავასუქოთ... რა ვქნა, ჯერ გასასეიდად კი არ მემეტებოდა, მაგრამ ეველანი ემაგრე შიშველ-ტიტველნი რომ მეევართ, ძინდა საღდგომოდ ცოტა რამე მაინც მოგაკრათ ტანზე,—თითქოს მობოდიშებით დაუმატა მარიამმა.

იმ სოფლის დიდი და ჰატარა საღდგომოდ ახალს ტანისამოსს იკერავდა, კონკებში გამოხვეული მარიამის შვილები კი ბედნიერ სადღესასწაულო სამზადისს შურით შეჰყურებდნენ. ეველა ეს კარგად ესმოდა ჰეტოს, ამიტომ, თუმცა ძალიან ატკინა გული ჯრელას გაეიდვამ, მაგრამ დედას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მეორე საღამოს ჰეტომ მღვდლიანთ ბურვაკი მიჭ-გვარა, მღვდელმა მას ხუთი მანეთი მისცა და უთხრა:

— აჭა, დედა-შენს წაუღე; არ კი დაჭკარგო, თორემ შენცა და შენი და-ძმებიც საღდგომოდ უტანისამოსო დარჩებით.

ჰეტომ ფული ხელსახოცის უურში გამოჭკრა, ახალოხის ჯიბეში ჩაიდო და შინისკენ გამოიქცა.

ეკლესიის მოედანზე რომ გამოიარა, ბავშვები იქ წრე-ბურთაობას თამაშობდნენ. ჰეტოს გულმა არ მოუთმინა და მოთამაშეებში ჩაერია.

ბავშვებმა ბევრი იხტუნეს, ირბინეს და მხოლოდ დაბინ-დებისას დაიშალნენ.

ჰეტო მოვიდა შინ, ჩაიო ჯიბეში ხელი ფულის ამოსა-ღებად, მაგრამ ხელსახოცი იქ აღარ დაუხვდა და გულამომ-ჯდარმა შეჰკივირა:

— ვაიმე, ჯიბე გახეული მქონია და ხელსახოცი ფულია-ნად დამკარგვია!

— უი, დამიდგეს თვალები!—ძლივს წამოილუღლუღა ელდა-ნაცემმა მარიამმა:—სხვა რაღა გებარა, შე მზე—ბნელო, რომ იმასაც ჭკარგავდი? ვფიქრობდი, საღდგომოდ ამ ცოდ-ვის შვილებს კონკებს გამოუცვლი-მეთქი; შენ კი ეშმაკსა და ქაჯში დაიღუპე და ფულიც დაჭკარგე! აი, გაგიწუდეს სახე-ლი, შე გამოჩერჩეტებულო, შენა!

ჰეტომ ტირილი ამოუშვა: მას დედაზე ნაკლებ არ ესმო-და თავიანთი გაჭირვებული ცხოვრება და შედეგი თავისი და-ნაშაულისა.

ჰეტოს ტირილითვე აჰყვნენ მისი ჰატარა და-ძმანი: გრძნო-ბდნენ, რომ გაუცრუვდათ უკანასკნელი იმედი ტანისამოსის განახლებისა. აღარც ეკლოგია მათთვის, აღარც აღდგომის დღეს მოედანზე გამოსვლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს მარიამმა ბევრი იკითხა სოფელში დაკარგული ფულის შესახებ, მაგრამ ვერაფერი გაიგო; ბოლოს იმ სოფლის მასწავლებელს შესჩივლა თავისი გასაჭირი და შეეხვეწა, შეჰკითხებოდა თავის მოწაფეებს, მათში სომ არავის უპოვნია ჰეტოს მიერ დაკარგული ხუთი მანეთი“.

მასწავლებელი გაჩუმდა და კლასს თვალი გადაავლო. ეველანი გაკმედილნი ისხდნენ და ცნობის-მოყვარეობით აღგზნებული თვალებით მას მისჩერებოდნენ. მერე განაგრძო.

„როცა იმ სოფლის სკოლის მოწაფეებმა გაიგეს უკიდურესი სიღარიბე მარიამის ოჯახისა და ამბავი ჰეტოს მიერ უკანასკნელი იმედის, ხუთი მანეთის, დაკარგვისა, შეექმნათ თათბირი, რითი ეშველათ მისთვის.

მაგრამ მე მინდა ჯერ თქვენ მოგმართოთ შეკითხვით: აქ რომ ცხოვრობდეს ამისთანა ღარიბი ქვრივი და ასეთი სიფათი შეემთხვას მის შვილს, თქვენ რით აღმოუჩენდით დახმარებას?

შაქრო წამოხტა და უპასუხა მასწავლებელს:

— ამისთანა ქვრივი შესაბრალისია, და ვისაც შეძლება აქვს, მოვალეა დაეხმაროს; ამიტომ, აქ რომ მოხდეს ეს ამბავი, ამხანაგებში ფულს შევაგროვებდი და სამ ჰატარა ობოლს ტანისამოსს უყიდდი, ჰეტოს კი ისე დავარჩენდი, რადგან, იმის მაგივრად, რომ ფული დედისთვის ჩაებარებინა, მან ბავშვებში დაიწყო თამაშობა და ფული დაკარგა.

— სწორეა შენი აზრი, მაგრამ ამასთანავე მეტად სასტიკი,—სთქვა მასწავლებელმა:—თქვენ აქ მხოლოდ შუადღემდის სწავლობთ, მერე კი თავისუფალნი ხართ. მართალია, შინ ხან გაკვეთილებს ამზადებთ, ხან მშობლებს მუშაობაში ხელს ახმარებთ, მაგრამ აბა ადგეს, ვინ არის თქვენში ისეთი, რომ დღეში ერთი საათით მაინც არ გავიდეს ამხანაგებში სათამაშოდ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს, ადგომით კი არავინ ამდგარა.

— მაშ სჩანს, ოოველი ოქვენგანი ოოველ დღე ცოტა ხნით მაინც თამაშობს,—სთქვა მასწავლებელმა:—ჰეტო კი ამ ბედნიერებასაც მოკლებული იყო, რადგან ოოველ დღე ღორი და გოჭები დაჰყავდა მინდორში და იქ იმათ ხომ არ ეთამაშებოდა?! იმ დღეს კი, რადგან დედისაგან დაბარებული ჰქონდა, რომ მღვდლიანთთვის ბურვაკი უნდა წაეყვანა, ცოტა ადრე მორეკა თავისი ფარა. მღვდლიდან დაბრუნებისას მოთამაშე ბავშვები რომ დაინახა, გულმა ვეღარ მოუთმინა: მოუნდა მასაც ხტომა და სირბილი; ისიც ხომ ბავშვი იყო და ბავშვებში გაერია. განა გასამტეუნებელია?

— არა, არა, არ არის გასამტეუნებელი!—უპასუხა თითქმის მთელმა კლასმა.

შაქრო დარცხვენილი დაჯდა და ახლა ჰელო წამოდგა მასწავლებლის დასმულ კითხვაზე პასუხის მისაღებად.

— ხელსაქმის მასწავლებელმა რამდენიმე ხალათი და კაბა შეგვაკერვინა სახელმწიფო ფულით ნასყიდ მასალისაგან; გვითხრა, ულარიბეს მოწაფეებს დაურიგდება უფასოდაო. რადგან ჩვენ სკოლაში მარიამის ობლებისთანა გაჭირვებული არავინ არის, ჩემი აზრით, იმათთვის უფრო მადლი იქნებოდა, რომ მიგვეცა ის ტანისამოსი.

— ჩინებული აზრია, მე ძალიან მომწონს!—სთქვა კმაყოფილებით მასწავლებელმა:—თქვენ, ბავშვებო, თანახმანი ხართ ჰელოს აზრისა?

— თანახმანი ვართ, თანახმანი! — იგრიალა მთელმა კლასმა.

ჩუმად იჯდა მხოლოდ მეორე განყოფილების მოწაფე კოტე, რომელსაც თითი აეშვირა და მასწავლებელს შესცქეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა, კოტე, სთქვა? იქნება შენ არ მოგწონს ჩვ-ლოს აზრი! ან იქნება შენ სხვა საშუალება მოიგონე ობლ-ბის დასახმარებლად?!

— არა, არაფერი, მე მხოლოდ მინდოდა მეკითხა: ის ხელ-სახოცი ჩიტებიანი ხომ არ იყო?

ამ კითხვაზე მოწაფეებმა ისეთი ხარხარი ასტეხეს, რომ კლასმა ზანზარი დაიწყო. გაეცინა მასწავლებელსაც, მაგრამ მალე თავი შეიკავა და ჰკითხა:

— რომელი ხელსახოცი?

მოწაფეების ხარხარით შერცხვენილმა კოტემ აკანკალე-ბულის ხმით ძლივს გასაგონად წაილულღლუღა:

— აი, ჩვ-ტომ რომ და-კარ-გა.

— ჰოო, არ ვიცი, შეიძლება ჩიტებიანი იყო,—სთქვა ეო-ემანით მასწავლებელმა:—რაზე იკითხე?

— გუშინ საღამოს მე ვიპოვნე ჩვენს ორღობეში ჩიტე-ბიანი ხელსახოცი, მაგრამ შიგ ხუთი მანეთი კი არა, ერთი ლურჯი ქაღალდის ფული იყო გამოკრული, და დედას მივე-ცი.

მასწავლებელმა კლასის კარები გამოაღო და გასძახა:

— აბა, აქ მობრძანდით!

კლასში შემოვიდა თალხებ-ჩაცმული დედაკაცი და 10—11 წლის დაგლეჯილ ახალოხში გამოწყობილი ბიჭი.

— მღვდელმა ხუთი თითო მანეთი მოგცა, თუ ერთი ხუთ-მანეთიანი?—ჰკითხა ბიჭს მასწავლებელმა.

— ერთი ლურჯი ქაღალდის ფული მომცა; მითხრა, ეს ხუთი მანეთი დედას წაუღეო; მე ხელსახოცის ეურში გამოვ-კარი და ჯიბეში ჩავიდე, ჯიბე გახეული ეოფილიეო და ხე-ხელსახოცი გავარდნილიეო,—ლუკლუკით დაბოლავა ბავ-შვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელსახოცი როგორი იყო?

— თეთრი იყო, შუაში წითელი წინწკლები ჰქონდა და გარშემო ჩიტები იყო დახატული.

— ჰო, ისა ყოფილა, ის,—წამოიძახა კოტემ:—წავალ, მასწავლებელო, და ესლავე მოვარბენინებ.

მასწავლებელმა კოტე ნაჰოვნი ფულისა და ხელსახოცის მოსატანად გაგზავნა.

შენ რაღა გინდა, მახარე, რისთვის იშვერ თითს?—მიუბრუნდა მასწავლებელი ერთ მოწაფეს, რომელსაც თითი აეშვირა და, ეტყობოდა, მასაც რისამე თქმა უნდოდა.

— მასწავლებელო, ჩვენ ხომ „ბუნები-კარზე“ გადაველით და „დედა-ენა“ კიდევ დაგვჭირდება?

— არა. რა იყო?

— მინდა ჩემი დიდი „დედა-ენა“ ჰეტოს მივცე, თუ სიძველეზე არ დაიწუნებს. აჰა, ჰეტო, როცა მოიცალო, იკითხე. ერთი ფორცელიც არ აკლია!

ჰეტო სიხარულით გამოართვა ეს მისთვის დიდი ხნის სანატრელი განძი, ამოიღო უბიდან სალამური და გაუწოდა მახარეს:

— აი, სამაგიეროდ შენთვის სალამური მიჩუქებია, ობოლი *) დიდგულასია: ისე ღუის, როგორც ღვთისმშობლის ზარი!

მახარემ სიამოვნებით გამოართვა საჩუქარი.

— საღამოობით მოვალ ხოლმე შენთან მინდორში: მე წერა—კითხვაში დაგეხმარები, და შენ სალამურზე დაკვრა მასწავლე,—უთხრა მან ჰეტოს.

როცა კოტემ ხელსახოცი და ფული მოიტანა და მარიამს გადასცა, სიხარულისაგან სახე-გაბრწყინვებულს ჰეტოს ამ

*) ობოლი დიდგულა-ობლად ამოსული, ძირეული, და არა ტოტზე მოჭრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ცალ ხელში დიდი „დედა-ენა“ ეჭირა და მეორეში ხა-ლათი, რომელიც მისცა მას მასწავლებელმა, თანახმად კლასის გადაწყვეტილებისა.

ხარობდნენ მარიამი და ბეტო, მაგრამ მათი სიხარულით არა ნაკლებ ხარობდა მთელი კლასი; ხოლო უსაზღვრო სი-ხარული ბედნიერ მასწავლებლისა მის წამწამებზე ცრემლის მარგალიტებად გადმოკიდულიუო.

დ. ძეძამიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს ესტუმრა
საშშობლოს

ამ დილით მოფრენილა
ჩემი გიჟი მერცხალი,
და ჭიკჭიკებს, ჭიკჭიკებს,
მზიურ ვნებით დამთვრალი.

თავს ევლება ალერსით
მწვანედ ფოთლილ არეს,
და შეჭსარის კისკასით
მშობელ ტურფა მხარეს.

მას უსმენენ ევავილნი
ტუჩებ-ღია, ნარნარი,
გულში იკრავს მის ტკბილ ხმას
ველ-მინდორი, ბალნარი.

და ბორიო ნელ-ნელა
ფრთებს შლის, მოჭქრის ფშვენითა,
იღიმება ენძელა
ზეციური ლხენითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის კაშკაშა სხივები
ველს ეფრქვევა ცქრიალით,
იწვის ბროლის მძივები
მისი კოცნა-ტრფიალით.

ჩემი გიჟი მერცხალიც
ალარ სდგება სიამით,
კვლავ ევლება მიდამოს
შურდულივით სრიალით.

კვლავ ჭიკჭიკებს, ჭიკჭიკებს
ცელქი გრძნობა ანკარა.
დღეს ესტუმრა საშობლოს,
აი, რამ გაახარა!

მიმქრალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამხეცეში

(დასასრული)

„აუცხოვო გადია არ იშოვა ნურიმ?—ამბობდნენ გამვლელები და შურით მიცქერდნენ.

როცა გოგონა წამოიზარდა, დავიწყე მიწის ხვნა, ლეწვა და საზოგადოდ ოთველნაირი ოჯახური საქმის კეთება. ვფშვნიდი სიმინდს, ვზიდავდი შეშას, ვრეცხდი თეთრეულს. ოთველდღე მოდიოდა ჩემთან ნური და მეფერებოდა. ის ახლა გასათხოვარი ქალი იყო უკვე; ძალიან ვუყვარდი და ეს ძლიერ მახარებდა. მეც მიყვარდა ჩემი გაზრდილი და მოწყენით ვიყავი, როცა არ ვხედავდი. თვეში ორჯერ ნური დადიოდა მდინარეზე და ოჯახის თეთრეულს რეცხდა. გამოძივლიდა და მეტყოდა ხოლმე: „ბიჯი! წამო, მიშველე რეცხვაში!“ მეც სიხარულით გავედევნებოდი და ვშველოდი. როცა სარეცხს ჯოხს ურტყამდა ნური, შევეშველებოდი და გულმოდგინე ვცემდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნელა, ნელა, ბიჯი,—მეტეოდა ნური:—ასე ჯობსაც გასტეხავ და თეთრეულსაც დამიგლეჯ.

როცა ზედადგარს დადგამდა, ცეცხლს გააჩაღებდა სადილის გასაკეთებლათ, ამაშიც ვშველოდი ნურის: ავიღებდი ქაფქირს და ხორცს ქაფს ვაცლიდი. კოვზით ადუღებულ ბრინჯს ვურევდი, რომ არ დახრაკულიყო. ცეცხლში შეშას ვუმატებდი. ერბოს გათქვეფაშიც ვშველოდი. ვმწყესავდი მამა მისის ცხვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კამეჩს, მერე ისე მოხდენილად, რომ კარგი დაგეშილი ძალლიც ვერ შემედრებოდა.

გავრეკავდი ბალახზე, თავის დროზე წულის დასალევა-თაც ჩავდენიდი, ხორთუმით ცივ წყალს ვაპკურებდი; რო-ცხებოდა, ხის ტოტით ბუზს ვუგერებდი, საღამოს ჟამს კი-დევ შინ გამოვრეკდი. როცა ჯური ახალი სახლის აშენებას შეუდგა, მე ხის მორები დავუსერხე ფიცრებად... ერთი სიტ-ყვით, ჩემი ჰატრონის ბ. ჯურის ოჯახში უჩემოდ არავითარი საქმე არ გაკეთდებოდა: ყველაფერში მონაწილეობას ვიღებ-დი, როგორც ოჯახის ერთგული წევრი. თექვსმეტი წლის ნური გაათხოვეს, დავრჩი მარტო, დავღონდი. აღარავინ მეფე-რებოდა. გავანებე თავი თეთრეულის რეცხვას და სხვა წვრი-ლმან ოჯახურ საქმეებს. ერთხელ ჯურის ვიღაცები ესტუმრნენ, მისცეს ჩემში ფულები და წამიყვანეს თავისთან. ჩამსვეს გემ-ში და მიმიყვანეს ერთ დიდ ქალაქში. აქ ინგლისის ჯარი იდგა. მივსვდი, რომ სამხედრო სამსახურში მიმიყვანეს.

მაზიდვინებდენ ზარბაზნებს. შეგვაჩვიეს მწკრივად სიარულს. ეურს აღარ ესამუშებოდა სროლაც.

ერთხელ აღლუმის დროს, როცა მწკრივად დავდიოდით სა-ვარჯიშო მოედანზე, მაყურებელთა შორის ნური დავინახე. ის იდგა თავის ქმართან, ეურს უგდებდა მუსიკას და აღლუმს უცქეროდა. როცა ახლოს ჩავუარე ზურგზე ზარბაზნებ გადა-კიდებული, ნურიმ ქმარს უთხრა:

აი, სულ ამნაირი იყო ჩემი სპილო, ჩემი ბიჯი! რომ იცოდე, როგორი ერთგული, როგორი მშვენიერი რამ იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდოდა დამეეკვირა, სწორეთ მე ვარ ის, თქვენი ბიჯი ძეთქი, მაგრამ აბა როგორ უნდა დამეძახა? ვანიშნე ხორთუმით, ეურებით, მაგრამ ვერ მივასვედრე, და ჩვენც გაგვრეკეს.

სამხედრო სამსახურში ათი წელი დავეავი. მერმე გადამხერხეს ეშვები და გამეიდეს დიდ ფასში, როგორც სპილოს ძვალი. დამახინჯებული, უშნო, გამხდარი, უჭმელობისა და აუტანელი ჯაფისაგან დასუსტებული გამეიდეს ვიღაც ინდოელზე, რომელმაც ექვსი წლის განმავლობაში საპალნეში ჯანი გამაგდებინა. ჩემი მეორე პატრონი ავადმყოფი კაცი იყო, მუდამ წამლებს სვამდა.

როცა გარდაიცვალა, მიმიყვანეს ზღვის პირას, ჩამსვეს გემში და ევროპაში ამომაყოფინეს თავი. მას შემდეგ სამხეცეში ვარ. ხომ სედავ—რაზე ვიმინებ? მთელი დღეები დილიდან საღამომდის ლაზღანდარა ხალხი გულს მიწყალებს სულელური მასხინძლობით და მუსიკა, ეს ღორღოტო და დოლი, განუწყვეტლივ მიბრახუნებს ყურში, მაშინაც, როცა სამხეცეში ადამიანები აღარ არიან, ცალიერია და ბნელა; აი, ახლაც, თითქოს ჩემს ყურში დოლს უკრავენო—ისე მიბჟუა.

საბრალო ტევე მხეცების მეფალი სუნი სულს მისუთავს, სუნთქვას მიძნელებს. ლომის და ვეფხის თვალის ბრიალი და ღმუილი ძილს ძიტეს: ჯაჭვით ვარ მიკრული ფეხით კედელზე და გარება შემხვდება მხოლოდ მაშინ, როცა სამხეცეს ერთი ქალაქიდან მეორეში გადაიყვანენ. დაღამდება თუ არა, იატაკ ქვეშიდან ამოძვრებიან ვირთაგვები და მკბენენ ფეხზე. როგორ მოგწონს ასეთი ცხოვრება?

ჟირაფი ჩდუმდა. ქუჩაში ქარი ნავარდობდა და ფიფქ თოვლს ანიავებდა. სამხეცის ფარღალალა ფიცრულ კედლებში ქარი არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეინად სისინებდა და შემოჭქონდა თოვლის მტვერი. საშინ-ლად ცივდა. მხეცები თავიანთ გალიის კუთხეებში მიკრუნჩ-ხულიყვნენ და კვნესოდნენ.

— რას გაჩუმებულხარ?—მიმართა სპილომ ჟირაფს,—განა შენ მოგწონს ასეთი ცხოვრება?

ჟირაფმა ერთი საცოდავად ამოიხვნეშა და არა უპასუხა რა. მოაგონდა თავისი აფრიკა, სადაც მზე ახლა საამურად ათბობდა ოფველივეს. მიბნელებულ კუთხეში რომელიღაც მხე-ცმა საცოდავად ჩაახველა.

— ღმერთო გამჩენო,—ამოიოხრა ვიღაცამ,—როდის მოე-ღება ბოლო ჩემ ტანჯულ ცხოვრებას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ავადმყოფი მაიმუნი კვნესოდა. მას ბანი მისცა ჩათვლემილმა თუთიყუშმა. მივარდნილ კუნჭულში გარეულმა კატამ ჩაიკნავლა... ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ქუჩა ქარს დარჩენოდა. თავისუფლად უბერავდა და ათამაშებდა მშრალ თოვლს.

ალ. მითაიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარადა

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)

წელისა ჭურჭელის სახელი.
აიღე, გაუკავ შუაზე და
მეორე შეინახევი,
პირველი დასდე განზედა;
შემდეგს მინდორში დაიჭერ,—
მწერია მარდად ხტუნია;
ეანაში უეკარს ნაკარდი,
არც ფეტვი დაუწუნია;
და უკანასკნელ ასოსა
მის სახელს მოსჭრი ხელადა,
დანარჩენს, უწინ რაც გქონდა
გვერდზე მიუსვამ ნელადა;
გამოვა ხილის სახელი,
საჭმელად გემრიელია;
უდიდეს ხეზე აბია,
კაცის ვერ სწვდება ხელია.

6/108

ეროვნული ბიბლიოთეკა

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მან. ნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ჯ სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** ჯ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ბ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**